პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ოთხშაბათი 14 დეკემბერი № 290 (17030) ფასი 2 კაპ. 1977

გუშინ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა

საინფორმაციო ცნობა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1977 წლის 13 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

ამ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ა. ბ. ლიაშკო — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მ. ა. პონომარიოვი — სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. ალიევი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ.-ს. ი. უმახანოვი — სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. თ. ბრატჩენკო — სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი, ბ. ნ. ელცინი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. პ. ტრუნოვი — სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. გ. კეგინი — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც ქვეყნდება პრესაში.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცეტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1977 წლის 13 დეკემბერს

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

მოწონებულ იქნეს ძირითადად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და შეტანილ იქნეს ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყონ, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს 1978 წლისათვის დაწესებული დავალებანი, რაც ახალ დიდ წვლილს შემატებს ეკონომიკის განვითარებას და დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი მეათე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა იხელმძღვანელონ დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ამ პლენუმზე, და მთავარი ყურადღება დაუთმონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტას, შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ ობიექტებზე კაპიტალური დაბანდების კონცენტრაციასა და ძირითადი ფონდების დროულ ამოქმედებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივ დაჩქარებასა და წარმოების ინტენსიფიკაციას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, მომჰირნეობის რეჟიმის გაძლიერებას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ მიზნით საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ შიდასამეურნეო რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას, წარმოების ნოვატორთა ინიციატივის გავრცელებას, ღელენიადაგ ვიზრუნოთ ხარისხოვრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, ვიღვწოდეთ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, კონტროლის გაძლიერებას საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, საწარმოო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები 1978 წელს აქცევენ დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწევენ იმ ისტორიული ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა.

სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

13 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის გ. თ. ხიზოვის ინფორმაცია სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის მიერ 1977 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს და დამტკიცეს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის 1978 წლის სამუშაო გეგმა. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების უხუცესთა საბჭოების სხდომა

13 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის საბჭოს მერვე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის საკითხები.

ამ საკითხებზე ინფორმაციები გააკეთეს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ. სხდომას თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი.

უხუცესთა საბჭოების გაერთიანებულ სხდომაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი. (საკდესი).

საუბარი კრემლში

13 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ირანის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი მოჰამედ ყანე, რომელიც მოსკოვში ჩამოფრენილი ირანის მთავრობის დელეგაციას საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიკური თანამშრომლობის მეოდმეცე კომისიის - VIII სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.

საუბრის დროს გამოთქმულ აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირსა და ირანის ეკონომიკური თანამშრომლობის ძირეულ რიგ საკითხებზე, აგრეთვე მისი გაფართოების შესაძლებლობათა თაობაზე. საუბარში მონაწილეობდნენ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, ირანის ელჩი საბჭოთა კავშირში ამჰად არდალანი და ირანის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ჯავად ვაფა.

13 დეკემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

მასების პოლიტიკური შემოქმედება განსაკუთრებით სრულად ვლინდება. ხალხის ხელისუფლების ყველაზე წარმომადგენლობითს ორგანოებში — საბჭოებში, რომელთა საქმიანობა სულ უფრო მრავალფეროვანი და ეფექტიანი ხდება, ნათქვამია მოწინავე წერილში (**„მილიონთა პოლიტიკური შემოქმედება“**). საკმარისია ითქვას, რომ ახლა ისინი ერთიორად მეტ საკითხებს განიხილავენ და წყვეტენ, ვიდრე ათი წლის წინათ.

ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების თვით ბუნებისათვის დამახასიათებელი სოციალისტური დემოკრატიზმი, განაგრძობს გაზეთი, სრულ შესაძლებლობას სახავს მშრომელთა ინიციატივისა და სოციალური თვითმოქმედებისათვის. ასეთი თვითმოქმედება, მნიშვნელოვანი პატრიოტული თაოსნობანი, რომლებიც გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე, უწინარეს ყოვლისა, შრომითს კოლექტივებში იშვება. აი რატომ არის, რომ ჩვენი სოციალური ორგანიზმის ამ პირველადს უჯრედებს კონსტიტუცია ფართო უფლებებს ანიჭებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში, საწარმო-დაწესებულებათა მართვაში. საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის რომ ზრუნავს, პარტია იღვწის შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივი პოლიტიკური როლის გაძლიერებისათვის.

გაზეთის მეორე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს სოციალისტური შეჯიბრების დღიურს — **„წლის ფინიშზე — საქმემ გამოგვაჩინოს“** („როგორ სრულდება საიუბილეო წლის სოციალისტური ვალდებულებები?“).

როგორც გაზეთ **„სოვეტსკაია აბხაზიას“** რედაქტორი **გ. გოლუბევი** სოხუმიდან იტყობინება (**„ნერგები მისამართს იცვლიან“**), ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუცში, ადგილობრივი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ჩნდება კავკასიის ფლორის კუთხე. მის შექმნაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღები (ბე-3 გვ.).

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნა სამართლიან და დემოკრატიულ საფუძველზე, ამ ურთიერთობაში დისკრიმინაციის, დიქტატის, უთანასწორობის აღმოფხვრა — დროის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. ამ თემას ეძღვნება პროფესორ **ვ. შეტინინის** სტატია — **„ექსპლუატაციის ქსელი“**. (ბე-4 გვ.).

PRAVDA

სადგური „სალუტ-6“ ფრენას განაგრძობს

ფრენის მართვის ცენტრი, 13 დეკემბერი. (საკდესი). „სალუტ-6“ ორბიტაზეა სამეცნიერო სადგურმა მოსკოვის დროით 14 საათისათვის 1188-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 34-ჯერ — ეკიპაჟითურთ. სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 363 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 337 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,4 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

დაძაბული მუშაობის დღეების შემდეგ დღეს ეკიპაჟს ფრენის პროგრამის შესაბამისად აქტიური დასვენების დღე აქვს. კოსმონავტები რომანენკო და გრეჩკო აწყობენ აგრეთვე ცალკეული საბორტო სისტემებისა და სადგურის აპარატურის პროფილაქტიკურ დათვალიერებას და საკონტროლო შემოწმებას.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

სადგური „სალუტ-6“ ფრენას განაგრძობს.

ქართული მიწის ბარაქა

ჩვენი ქვეყნის მშრომელებს

დღითიდღე მატულობს საქართველოდან ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონების მშრომელებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდება. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა უკვე გაგზავნეს 70 ათას ტონაზე მეტი ციტრუსები, გეგმით გათვალისწინებული 56.500 ტონის ნაცვლად. უკანასკნელ დღეებში გაიზარდა ლიმონის, ხურმის მიწოდება, მალე მეურნეობები დაიწყებენ ჩირის მიწოდებასაც.

ქართული მიწის ბარაქა მოსკოვში, ლენინგრადში, სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში წელს არა მარტო გასული წლების მაჩვენებლების გადამეტებით იგზავნება, არამედ გეგმის გასწრებითაც. ამას ხელს უწყობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მაღალი შრომითი ენთუზიაზმი, რომლებსაც გაშლილი აქვთ სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „საიუბილეო წელს — დამკვრელური ფინიში!“.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 7 დეკემბრის ოპერატიული მონაცემებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთო საკავშირო ფონდმა საქართველოდან მიიღო (ტონობით):

სოფლის მეურნეობის კულტურები	გეგმა	ფაქტიური გაგზავნა
კარტოფილი	30.000	34.790
ბოსტნეული	39.300	40.205
თესლოვანი ხილი	62.850	43.953
კურკოვანი ხილი	4.800	4.957
ხურმა	6.000	2.485
ბაღჩეული	—	1.565
ციტრუსები	56.500	70.080
აქედან ლიმონი	3 მილიონი ცალი	80 ათასი

(საქინფორმი).

მოსკოველთა მადლობა

მოსკოველებს ჯერ არასდროს უნახავთ მზიური სამხრეთის ოქროს ნაყოფის — მანდარინის ასეთი სიუხვე მაღაზიების დახლებზე. ჯერ კიდევ 31 ოქტომბერს, არნახულად ადრე, დედაქალაქში საქართველოდან მიიღო პირველი ცხრა ვაგონი, ხოლო დიდი ოქტომბრის საიუბილეო დღესასწაულისათვის — 2,5 ათასი ტონა ციტრუსი.

— ახე ნაადრევად და ამდენი რაოდენობით დედაქალაქის მშრომელებს ჯერ არასოდეს მიუღიათ საქართველოს მშრომელთა ნობათი, — გვეუბნება მოსკოვის ხილბოსტანმრეწვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. დოდონოვი. — მოსკოვის ხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში უკვე შემოტანილია 33,5 ათასი ტონა მანდარინი, რაც 8,5 ათასი ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

მანდარინით პირის ჩატკბარუნება განსაკუთრებით ახარებთ ბავშვებს. რა დასამალია და არც ისე დიდი ხნის წინათ შვილები რომ გაეხარებინათ, მათი მშობლები იძულებული იყვნენ სპეციალისტებისათვის კილოგრამ მანდარინში 5-6 მანეთი გადაეხადათ ბაზრებში.

დღეს კი ქორვაჭრებს მოსკოვის ბაზრების დახლებთან ველარ ნახავთ, ბოლო მოეღო არაპატიოსანი გზით მომხვეჭელთა პარაზიტებს, ვინც ჩირქს სცხებდა ქართველი გლეხკაცის პატიოსან სახელს. დიდ-ოდენ ნათლად, ხელშესახებად გამოჩნდა გამრჯე ადამიანები, ნაშრომ-ნაღვაწი, ვინც უხვი მოსავლით ისახელა თავი.

დიდი მადლობა თქვენ, საქართველოს მზიური ბაღების მუშაკებო — გულწრფელად ამბობენ დღეს მოსკოველები.

ვ. ქაჯაია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
მოსკოვი.

დღეს მოსკოვში გაიხსნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია

მოსკოვი. სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე ჩამოვიდნენ დეპუტატები. სურათზე: (მარცხნიდან) ა. პ. ტარასოვი (მორდვეთის ასსრ), პილვი ი. ტოომი (ესტონეთის სსრ), ხ. მ. პარმაკლი (მოლდავეთის სსრ), პ. ა. ნოვგოროდცევი (იაკუტიის ასსრ), ენვერ ალიევი (უზბეკეთის სსრ), ზ. გ. ხარალიძე (საქართველოს სსრ), კ. ე. ორკინა (მორდვეთის ასსრ).

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

კპრტიული კომიტეტის მდივნის ტრიბუნა

ქმედითი ფორმებითა და მეთოდებით

კომუნისტები — წარმოების გაძლიერებულ უბნებზე

პირველ დეკემბერს დილადრიან ჩვენი შახტის ბუნკერიდან ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირით დატვირთული მორიგი, 87-ე სარკინიგზო ეშელონი გავიდა. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანად წოდებული ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის...

ამ ბოლო ხანს, როდესაც რესპუბლიკაში თითქმის მინიმუმამდე შემცირდა ჩამორჩენილ საწარმოთა რაცხეი, გეგმების გადაჭარბებით შესრულება თითქოსდა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ ჩვენს ბოლოდროინდელ წარმატებებს შახტის კოლექტივისათვის მაინც განსაკუთრებული მორალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ხაქმე ეს არის, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან თითქმის წესად იყო ქცეული ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმების ყოველწლიურად ხელოვნურად შემცირება-კორექტირების გზუმართლებელი, მავნე პრაქტიკა, ნაკლები ყურადღება ექცეოდა რეზერვების ძიებასა და ამოქმედებას, შესაბამისად, დაბალი იყო საწარმოო მაჩვენებლები, მშრომელთა აქტიურობა...

ამ ხაჭირბოროტო საკითხზე, მისი დაუყოვნებლივ გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე მრავალჯერ ეიმსჯელეთ პარტიული კომიტეტის სხდომებზე, პარტიულ კრებებზე, ბევრი პრაქტიკული ღონისძიებაც განვახორციელეთ და, როგორც იტყვიან, გალღვა ყინული. შახტმა წარმატებით აითვისა საპროექტო სიმძლავრე, ხოლო ამ უკანასკნელ ორ წელიწადში კი მნიშვნელოვნად დადაჭარბა კიდეც მას. **შარშან საპროექტო სიმძლავრის გადაჭარბებით შახტის კოლექტივმა 8 ათას ტონამდე მაღალხარისხოვანი საკოქსე ქვანახშირი მოიპოვა.** წელიწადს გადაწყვეტილი გვაქვს ეს მაჩვენებელი 40 ათას ტონამდე გავზარდოთ, რასაც, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, აუცილებლად შევასრულებთ. სოციალისტური ვალდებულებით კი მხოლოდ 19 ათასი ტონა იყო გათვალისწინებული...

ეს სასიკეთო გარდატეხა უეცებ და თავისით არ მომხდარა. ნათქვამია, ვაშლი რომ მაღლა შეაგდო, მის ჩამოვარდნასაც დრო უნდაო. დიდი ხნის მანძილზე თავდადებული, შემოქმედებითი შრომით მივაღწიეთ წარმატებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა შახტის პარტიულმა კომიტეტმა, რომელიც 16 საუბნო პარტიულ ორგანიზაციასა და 5 პარტიულ ჯგუფს აერთიანებს. სწორედ შახტის კომუნისტები იძლეოდნენ თავდადებული მუშაობის, მინდობილი საქმისათვის უდიდესი პერსონალური პასუხისმგებლობის, შრომისადმი ჭეშმარიტად კომუნისტური დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითებს. პარტიული კომიტეტი ყოველმხრივ ცდილობდა მიზანსწრაფული, გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა კომუნისტების საქმიანობისათვის, აემაღლებინა მათი ავანგარდული როლი.

ყველანი დამეთანხმებით, რომ ხელმძღვანელის, მით უმეტეს პარტიული ხელმძღვანელის ავტორიტეტზე, მის უნარზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ბოლო ხანებში ჩვენთან ამ მხრივაც დადებითი ძვრები შეიმჩნევა. **საუბნო და საამქრო პირველად პარტორგანიზაციებს, პარტიულ ჯგუფებს სათავეში ჩაუდგნენ საქმის მცოდნე, ავტორიტეტიანი კომუნისტები, წარმოების ნოვატორები, რომლებიც უნარიანად თავკაცობენ კომუნისტებს, სავსებით ამართლებენ დიდ ნდობას.** მაგრამ მთლიანი ხელმძღვანელობაში პარტიული კომიტეტი თუდამ ითვალისწინებს ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტს, კერძოდ, მათს სწავლებას პარტიული მუშაობის გამოცდილების გამდიდრებისა და ლენინური სტილის, ეშეშარიტად შემოქმედებითი სტილის სრულყოფილად დაუფლებისათვის. ამ მიზნით **პარტიული კომიტეტი პარტბიუროს შეხვედრებისა და პარტჯგუფორგანიზებისათვის ყოველთვიურად მართავს თათბირ-სემინარებს, აწყობს ლექცია-მოხსენებებს, რომლებზეც პარტიული მუშაობის ხაკვანძო საკითხებს განვიხილავთ. ხახემნარო მუშაობისას დიდ ყურადღებას ვუთმობთ პარტიული კრების — კომუნისტთა აღზრდის ხელის როლის ამაღლების, პარტიული დავალებების სწორად განაწილების, მათი შესრულების კონტროლის, კადრების შერჩევისა და აღზრდის, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხებს** და ა. შ. საუბნო პარტორგანიზაციებსა და პარტჯგუფებს დახმარების და კონტროლის მიზნით მივმაგრეთ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთა ანგარიშებს ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ სისტემატურად ვისმენთ პარტიული კომიტეტის სხდომებზე.

ამას დადებითი შედეგი მოჰყვა. მაგალითად, შახტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, მესამე უბანი (უფროსი კ. ყელაურაძე) გასული წლის პირველ ნახევარში ჩამორჩა, ხახელმწიფოს დიდძალი ქვანახშირი დააკლო. საუბნო პარტორგანიზაციამ (მდივანი დ. ბოკორიშვილი) ეერაფერი ვერ იღონა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. პარტიულ კომიტეტის დადგენილებით გამოიყო სპეციალური კომისია, რომელმაც ადგილზე შეისწავლა საქმის მდგომარეობა. შემდგომ ეს საკითხი პარტიული კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კონკრეტული ღონისძიებები შევიმუშავეთ. შესრულების შემოწმების კონტროლი შახტის მთავარ გეოლოგს, კომუნისტ ბ. ლობაკანიძეს დაეკალა, რომელიც აღნიშნულ უბანზე გაიგზავნა. ორგანიზაციულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ვითარება მკვეთრად შეიცვალა. უბანი ამჟამად ერთ-ერთი მოწინავეა. წლეულს 11 თვეში მისმა კოლექტივმა ერთი ეშელონი ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი ამოიღო და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას დიდად გადაჭარბა.

ჩვენი გამოცდილებიდან დავიწმუნდით, რომ **წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ავრეთვე გაწეული მუშაობის შესახებ კომუნისტების ანგარიშების მოსმენა.** წინათ კონტროლისა და დახმარების ამ შესანიშნავ ფორმას სათანადოდ ვერ ვიყენებდით. ახლა ამ საქმეს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ამ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე პარტიული კომიტეტის სხდომებზე მოვისმინეთ შახტის დირექტორის მოადგილის ა. მელქაძის, მთავარი ინჟინრის მოადგილის შ. აბულაძის, შახტის ნორმადარის უ. ხარიძისა და სხვათა ანგარიშები, რომლებმაც ილაპარაკეს გაწეულ საქმიანობაზე, აღნიშნეს არსებული ნაკლოვანებები, ხელშემშლელი მიზეზები, პრობლემები. პარტიულმა კომიტეტმა თითოეულ შენიშვნაზე კონკრეტული რეგიონება მოახდინა და ბევრი რამ გამოსწორდა კიდეც. დიდად გვეხმარება ავრეთვე შახტში არსებული 12 პოლიტწრე, რომლებსაც გამოცდილი პროპაგანდისტები ვ. პატარიძე, ი. აბულაძე, ბ. ლობანიძე, ა. მელქაძე, ტ. ჭიქაბერიძე და სხვები ხელმძღვანელობენ.

წინსვლის, ახალი წარმატებების მოპოვების, არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია მშრომელთა მიერ წამოყენებული წინადადებები, რომელთა გულდასმით განხილვების შედეგად არაერთი პრობლემა გადაიწყვეტეთ. მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვან რეზერვს მუდამ სათანადოდ ვერ ეიყენებთ, რაშიც მხოლოდ ჩვენ ო

ბრალი ვართ დამნაშავე. მაგალითად, ახლახან ჩვენი შახტის საუბნო და საამქრო პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. კომუნისტთა მიერ გამოთქმული ბევრი შენიშვნა, როგორც იტყვიან, დარჩა „ხმად მღაოდებლისა უთაბნოსა შინა...“ ეს კი იმიტომ მოხდა, რომ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა ჩვენს ძალ-ღონესა და შესაძლებლობებს აშკარაო აღემატებოდა და მათს გამოსწორებაში ზემდგომი ორგანოება უნდა დაგვხმარებოდნენ. მაგრამ გაეგრთიანება „საქნახშირის“ ხელმძღვანელობა კომუნისტთა წინადადებებს რატომღაც ყურადღებ არ იღებს, მან ასეე უპასუხოდ დატოვა გასული წლის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული შენიშვნებიც...

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, რომელიც ჩვენს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე განვიხილეთ, ერთსულოვნად მოიწონეთ და მომავლის საამქროდ პროგრამად ჩავთვალეთ, ნათქვამია, რომ „...პირველადმა პარტორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გარდაქმნან მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად და გააძლიერონ ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლი“...

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის სამი პარტიული კომისია არის შექმნილი. ესენია: პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესების, ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის და მუშა მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების კომისიები. ეს კომისიები წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული გეგმის მიხედვით მუშაობენ. პარტიული კომიტეტი სისტემატურად ისმენს გაწეული მუშაობის შესახებ მათ ანგარიშს.

მაგალითად, ოქტომბერში პარტიული კომიტეტის სხდომაზე მოვისმინეთ მ. გვენეტაძის მოხსენება ამოღებული ქვანახშირის ხარისხის შესახებ. აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლებში ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდა, ქვანახშირის ნაცრიანობა 0,5 პროცენტით შემცირდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყოველდღიურად მხოლოდ მაღალხარისხოვანი ქვანახშირი ამოვიღოთ, ხაქესპლოატაციო უბნები და ცალები კვლავ არღვევენ სტანდარტს, იძლევიან მაღალნაცრიან და ჭარბწყლიან ქვანახშირს, რის გამოც წლეულს 11 თვეში შახტმა ზეგეგმიანესტიანი ქვანახშირის ამოღებისათვის 162 ათასი მანეთი ჯარიმა გადიხადა, ხოლო მაღალი ნაცრიანობისათვის 32 ათას ტონამდე ქვანახშირი ჩამოწერეს.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. ამჟამად პარტიული კომიტეტი, პროდუქციის ხარისხის კონტროლის პარტიული კომისია და შახტის ადმინისტრაცია ამუშავებენ ერთობლივ ღონისძიებებს საქმის გამოსასწორებლად.

ახლახან შევისწავლეთ შახტის ხამმართველო აპარატის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელშიც ძირითადად ხელმძღვანელი მუშაკები არიან გაერთიანებული. აღმოჩნდა, რომ 52 კომუნისტიდან 14 ნაკლებად მონაწილეობდა პარტიულ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ საქმიანობაში, პარტიული კრებების მომზადებაში, არ გამოთქვამდა აზრს, ინერტულობდა... პარტიულმა კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი, აღნიშნული ნაკლოვანებებისათვის მკაცრად გააკრიტიკა ხამმართველო აპარატის პარტორგანიზაციის ბიურო (მდივანი ჯ. კაკუშაძე) და უახლოეს ხანებში მდგომარეობის გამოსწორება დაავალა. შახტის პარტიული კომიტეტი თავის მხრივ სათანადო დახმარებას და კონტროლს გაუწევს მას მთელი პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის თანმიდევრივ, გაზრდილი მოთხოვნების ღონეზე დასაყენებლად...

იწერება მომდინარე, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წელი. სულ მალე კარზე მოგვეკაკუნებს ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის მესამე წელი, ეროვნული ეკონომიკის ყველა მონაცემების წინაშე დაყენებს ჩვენი ქვეყნის თითოეულ შრომითს კოლექტივს, ყოველ პარტიულ ორგანიზაციას, კომუნისტს. ჩვენი შახტის პარტიული კომიტეტი, კომუნისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მხარი აუბან დროის მოთხოვნებს, ყოველ უფრო სრულყონ და დახვეწონ პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები, იცხოვრონ და იშრომონ ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად.

ა. ჟოჩიაშვილი,
ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

კირუტყვის გამოზამთრებას — მეკაცრი კონტროლი!

ნამჯა მინდვრად კი არა, ფერმაში უნდა იყოს!

აი რა გვიჩვენა „კომუნისტის“ რეიდმა წითელწყაროს, მარნეულისა და კასპის რაიონებში

◆ ნამჯის დასაწყობა მავთული არა აქვთ ◆ აპარის ასსრ საზოგადოებრივ მეურნეობებს ნამჯა არ მიაქვთ ◆ მარნეულის რაიონის ზოგიერთმა მეურნეობამ ნამჯის ზვინები მინდვრის მავთებლების გუდედ გადააქცია ◆ როცა ტრანსპორტის ნაკლებობას იმიზეზებენ.

ზაზამთრდა, მთიდან თოვლმა ბარში ჩამოინაცვლა, აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საშემოდგომო ნათესები თოვლმა დაფარა. სოფლად აცოდა, პირუტყვი კარგა ხანია ბაგურ ყვებაზეა გადაყვანილი. დაიწყო მეცხოველეთა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — პირუტყვის გამოზამთრება. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ როგორ მოეშზადა ზამთრისთვის.

ზამთარში პირუტყვი დათბუნებული ბინების გარდა ნოყიერი საკვებით უნდა უზრუნველვყოთ. საკმაო ყუთიანი საკვების მოსამზადებლად კი მთელი წლის გარჯა იყო საჭირო. იმ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც გაზაფხულ-ზაფხულსა და შემოდგომაზე კარგად გაისარჯნენ. საკვები საკმაოდ მოიმარაგეს და პირუტყვის გამოზამთრებაც ნორმალურად მიმდინარეობს, ზამთრის პერიოდში წველადობა არ შემცირდება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ წითელწყაროს, მარნეულისა და კასპის რაიონებში მოაწყო რეიდები, შეისწავლა როგორი მდგომარეობაა უხეში საკვების მომარაგებისა და დაბინავების საქმეში.

ᲖᲘᲠᲐᲥᲘᲡᲐ და ივრისპირეთის სათიბ-საძოვრებისა და შეოდგომის ნათესებისათვის ბოლას თოვლის თხელი საფარი ადაუხურავს, ალაზანში კი ქერი ნისლი ჩაწოლილა. ოსსნიანი ზამთარი დაიწყო. რაიონში ფერმებთან მიტანილი ეხერი საკვები საკმაოდ აქვთ. თითოეულ სულზე 16 ცენტნერი საკვები რეთიელია მოდის. 30.000 ტონამდე ნაცვლად მომარაგებული ეთ 31.822 ტონა ნამჯა. შარნდელია საკმაოდ შემორჩენა. ი რომ 41.000 ტონაზე მეტი ტონა ნამჯა დაზვინული. პირუტყვის ნორმალურად გამზამრებისათვის კი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 1.000 ტონა ნამჯა სჭირდებათ. ნარჩენი დასავლეთ საქართველოს რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობისათვის აქვთ ბორახული.

მეზამთარო კი აქვთ, მაგრამ ძვირფასი საკვები წესების ცალით თუა დაზვინული? შინაისა და ტარიბანის მინდვრებში ნათესებში დაზვინული ნამჯა. ჯერ ერთი, გრძელ ზვინებს დიდი სახნავი თარეთბი უჭირავს, მეორეც, აქ თაგვი და მინდვრის სხვა მავნებელი თავისუფლად მრავლდება და თბილ ამინდში საშემოდგომო ნათესებს დაუხიანებს.

წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარი შ. ყარალაშვილი) შიგაქმა ჯვალიებში ნამჯის გრძელი ზვინები დაუდგამს ასევეა სოფელ ჯათარიძის კოლმეურნეობის (თავმჯდომარი — ნ. ყოჩიაშვილი), წითელწყაროს მეცხოველეობის სამრეწველო გაერთიანების (თავმჯდომარე — დ. ხარაშვილი), არბაშიანისა (თავმჯდომარე — დ. ბატიაშვილი) და რამდენიმე სხვა კოლმეურნეობის მინდვრებში. ნამჯის ეს გრძელი ზვინები თავის ბოდიი არის ადამიანისა. ამას ემატება ისიც, რომ ზვინების ირგვლივ მოცდენილია მიწის ნაკმაო თართობი. მისაძღოლი გზებისაგან ნათესები დატკეპნილია და, ეხადია, მოსავლიანობაზე ეარყოფითად იმოქმედებს.

ამის შესახებ წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ხოკიურაფეში თქვა:

მართალია, სახნავს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები არ ეუფრთხილდებიან და სან�თართობი ნამჯის ზვინებისა და გზებისაგან დაეარეფილა. ეს ამცირებს მოსავლიანობას, რადგან დათესილი ადგილი გვეთელება. რა თქმა უნდა, ზვინები მინდვრების გავრცელების ბოდიც არის. მაგრამ ჩვენც გვაქვს სათქმელი და სასაყვედურო. წლეულს შეგროვილი და დაზვინული ნამჯა თვის დროზე ვერ დაეწყნარეთ, რადგან საქონელი მავთული არა გვაქვს, გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ წლეულს ძალზე ეოტა მავთული მოგვაკა, რომელიც მხოლოდ 8.000 ტონა ოხეში საკვების დასაწყნარად გვეყო. ჩვენ კი, სულ ეოტა, 310 ტონა მავთული გვაქვს.

ჩვენს თერმებთან სამყოფი ოხეში საკვები მიტანილი გვაქვს, ტკეპნილია და ეხადია, მოსავლიანობაზე ეარყოფითად იმოქმედებს.

ᲡᲮᲕᲐ საკვებთან ერთად უხეში საკვები პირუტყვისათვის რომ აუცილებელია ეს ანბანური ჭეშმარიტება კარგად იციან მარნეულის რაიონის არაფლოს საბჭოთა მეურნეობაშიც. მეურნეობის დირექტორმა ა. რეგიმომმა შეზომელთა სახელით საკარიო იკისრა, რომ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის დაამზადებდნენ 1.600 ტონა ნამჯას. ზამთარი დაიწყო, პირუტყვს საკვები სჭირდება. დირექტორმა დაპირება, ქარს გაატანა. პირუტყვისათვის მხოლოდ 400 ტონა ნამჯა მოიმარაგეს. საინტერესოა 1.200 ტონა ნამჯას ამ ზამთარში სად აშოვნიან? შოვნას ვინღა დაიძებს, რაც აქვთ, იმასაც ვერ ფლობენ ეიგიანად. ტონრბით ნამჯა ჯერ კიდევ მინდორშია. მიდიხეზალეებს ფერმებთან მიეტანილი დარჩა ნამჯა. რაც მიეტანეს და უკვე საკვებად ხმარობენ, უხარისხოა, პირუტყვს ეუარიან დაზიანებული და დამტვრეულ საკვებურში. პირუტყვი ნამჯას ეიბით თელავს. და ეს ხდება მაშინ, როცა მეურნეობას ნამჯის საჭირო რაოდენობის ნახევარიც კი არა აქვს მომარაგებული.

26 კომისრის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ა. ოლბატოვი) ამის ყველა შესაძლებლობა იყო, რომ გამმით გადალასწინებული 623 ტონა ნამჯა დაემზადებინათ. სამწუხაროდ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს და მხოლოდ 220 ტონა ნამჯა დაზვინეს. ასევე ვერ შეასრულეს თავის მომარაგების დავალება.

საერთოდ, დამზადებული უხეში საკვები დროულად, აეიღებამდე უნდა მიიტანონ ფერმებთან. ზამთარი დაიწყო, მარნეულის საბჭოთა მეურნეობაში კი ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია განსაკეთებელი. ჯერ ერთი, ნამჯის დამზადების წლიური გეგმა მხოლოდ 70 პროცენტით შეასრულეს და, მეორე, რაც მოიმარაგეს, ისიც ყველა თერმასთან არ მიიტანეს, 70 ტონაზე მეტი ნამჯა მინდორშია. მათ დაავიწყდათ, რომ უწესოდ დაზვინული ნამჯა ფუჭდება, ხელს უწყობს მინდვრის თაგვის გამრავლებას, ეს კი საშიშროებას უქმნის საშემოდგომო ნათესებს.

პირუტყვი ნორმალურად, რომ გამოზამთრონ, ამისათვის აუცილებელია 220 ტონა ნამჯა, 535 ტონამდე თივა. სულოსი — 1.880 ტონა. საინტერესოა, როგორ ფიქრობენ საკვების დანაკლისის შეივსებას მეურნეობის მთავარი აგრონომი მ. ოიტიაშვილი და პარტიული კომიტეტის მდივანი მ. მამიდოვი. განა პირუტყვის გამოზამთრება უსაკვებოო შეიძლება?

ეჭნე მარნეულელებს ჭირვეულმა ამინდებმა შეუშალა ხელი და ამიტომ ვერ მოიმარაგეს ეხეში საკვები? ეს რომ ასე არ არის. მეზობლების მაგალითით ეიწმენდნენით.

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ რაიონის მინდვრებში საშემოდგომო თივთავიანი კულტურების ნათესები მწვანეო ხასხასებს. ამ ფონზე ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის მინდვრები უბრად გამოიყურება. იქ დარჩენილია ტონობით ნამჯა. ნოსტალეებს „ეურწყვის ფართობებში“ (ასე ეძახიან ერთ-ერთ მინდორს) შიგ ნათესებში დარჩენ 25 ტონა ნამჯა. აქ თავი ითმინ ამართლეს, ტრანსპორტი არ ვეყოფნის. რაც გვაქვს ისიც სხვა სამეშაოზე იყოო დასაქმებული, ამიტომ ფერმებამდე ვერ მივიტანეთო ნამჯა. ასე ფიქრობენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები (თავმჯდომარე — ა. ეინაშვილი, პარტბიუროს მდივანი — მ. გაბოძე). უხეირო თავის მართლებაა, ნოსტალეებო, უნდა გახსოვდეთ — კარგ ხელმძღვანელს შრომის სწორი ორგანიზაციით არც ერთი სამეშაო არ ჩამოეურჩება!

ნამჯის მინდვრად დატოვების მიზეზად კავთისხევის საბჭოთა მეურნეობაშიც ტრანსპორტის უმარისობა დასახელეს. კავთისხევლელთა მინდვრებში 100 ტონა შარშანდელი ნამჯა უპატრონოდ არის მიტოვებული. მეურნეობის ყოფილ დირექტორს ე. გოგიჩიძეს და პარტორგანიზაციის მდივანს ო. ტატიანაშვილს ეკითხებით, მთელ წელიწადს როგორ ვერ გამონახეთ საჭირო ტრანსპორტი, რატომ ითხოვეთ ნამჯას?

წითელწყაროს, მარნეულისა და კასპის რაიონებს მაგალითი ერთეული როდა. მსგავსი მდგომარეობაა ბახეთისა და ქარლილის რაიონების ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში. ზოგიერთს ჭგონია, ნამჯა უშრომლად მოდიხო. ეს ახე როდია. მახზე მემინდვრეთა და მექანიზატორთა დიდი შრომაა დახარჯული. ნამჯა ზამთარში პირუტყვის ძვირფასი საკვებია. მას სათანადო წესებით შემზადების შემდეგ პირუტყვი ეიმრეულად შეეჭიცავა.

აქ დასახელებული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ გადამწყვეტი კომპლექსური ღონისძიებები უნდა განხორციელონ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივი აღმოფხვრისათვის, იმისათვის, რომ ყოველი ეიოლოგრამა ეხეში საკვები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სამსახურში ჩადგეს.

რეიდის მონაწილენი: 3. ხარხელაური — წითელწყაროს რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, Უ. ᲑᲔᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ სოფლის მეურნეობის სამმართველოს საკვებმოპოვების აგრონომი; Ი. ᲓᲐᲠᲑᲐᲘᲫᲔ — მარნეულის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, რ. ᲠᲐᲖᲘᲛᲝᲕᲘ — არაფლოს საბჭოთა მეურნეობის ფერმის ბრიგადირი, მ. ᲙᲣᲠᲑᲐᲜᲝᲕᲘ — მარნეულის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მწყემსი; გ. ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — კასპის რაიონული „განთიადის“ რედაქტორი; შ. ᲐᲚᲐᲛᲐᲖᲨᲕᲘᲚᲘ — კასპის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი; 3. ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, 3. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, შ. ᲯᲝᲯᲣᲐ, რ. ᲑᲐᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — „კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲐᲕᲐᲙᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲒᲠᲫᲝᲚᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕ ᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

ᲐᲨᲘᲜ გაიმართა საქართველოს ᲡᲡᲠ ვაჭრობის სამინისტროს კოᲚᲔᲒᲘᲘᲡ გაფართოებული სხდომა, ᲛᲝᲚᲔᲨᲘᲪ მონაწილეობდნენ ვაᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ და საზოგადოებრივᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲐᲚᲔᲚᲘ მუშაკები, რესპუბლიკუᲚᲘ საბითუმო სავაჭრო ბაზებისა ᲓᲐ ᲙᲝᲜᲓᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ მმართველები.

ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ განიხილა საკითხი ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐში დარღვევათა წინააღმᲓᲔᲒᲘ ბრძოლის გაძლიერებისა და ᲠᲝᲑᲘᲡ მუშაკთა ეკონომიკური ᲛᲝᲣᲚᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ გაუმჯობესების ᲙᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲗᲐᲐ შესახებ.

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ გააკეთა საქართველᲝᲡ სსრ ვაჭრობის მინისტრმა ᲒᲘᲠᲒᲚᲔᲨᲕᲘᲚᲘᲛ.

ᲙᲘᲗᲮᲘᲡ განხილვაში მონაწიᲐᲑᲠᲜᲔ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი Შ. ᲒᲘᲚᲐᲣᲠᲘ, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები გ. ᲥᲝᲚᲚᲐᲕᲜᲘᲫᲔ, გ. ᲮᲔᲚᲐᲫᲔ, მ. ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რუსთავი-ვაჭრობის დირექტორი გ. ᲗᲮᲔᲚᲘᲫᲔ. ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი შ. ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲘᲜᲫᲔ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი შ. ᲒᲝᲠᲒᲝᲫᲔ და სხვები.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა Შ. ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ შენიშვნა, რომელიც რედაქციამ ზნაურის რაიონიდან მიიღო, სოფლებში ელექტროგაყვანილობის ნაკლოვანებებს ეხებოდა. წერილში მოყვანილი ფაქტები შეამოწმა „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა გ. თედეევმა.

ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ დადგინდა, რომ რედაქციაში გამოგზავნილ კრიტიკულ შენიშვნაში მოყვანილი ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ. ზნაურის რაიონის სოფლებში უბიათში, ღვერთეთში და გზაჯანთში ელექტროხაზები მართლაც დაზიანებული იყო, რის შედეგად მოსახლეობა ელექტროდენს ვერ იღებდა. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორდა. ამ სოფლებში გაყვანილ იქნა ახალი ელექტროგადამცემი ხაზები, **და ამჟამად აღნიშნული სოფლები ელექტრიფიცირებულია.**



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ნაწარმი კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში არამედ მის ფარგლებს გარეთაც.
კომუნისტური შრომის № 6 საამქროში ძირითად კომკავშირელები მუშაობენ. ისინი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი არიან და გეგმასაც ყოველ თვის გადაჭარბებით ასრულებენ.
სურათზე: მოწინავე მკერავები (მარცხნიდან) ქ. ლომიძე, ე. ამირეზაშვილი, ლ. ქონიაშვილი და ნ. ჭელიძე ყოველთვიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებენ.
გ. ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲐᲡ ფოტო.

მშენებლებო, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ!

სასოფლო-სამეურნეო პროფილის რეგიონების მშენებლობის ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

(ათას მანეთობით)

ქალაქები, რაიონები	კაპიტალური დაბანდებანი		მ. შ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები		ძირითადი ფონდები	
	წლიური გეგმა	ფაქტ.	წლიური გეგმა	ფაქტ.	წლიური გეგმა	ფაქტ.
ქ. თბილისი	4644	3574	2078	1672	5666	2386
ქ. ქუთაისი	702	596	497	663	1678	1656
ქ. ფოთი	2148	970	1668	963	2730	—
ახალქალაქის	1930	1432	1179	1092	3021	892
ბოგდანოვკის	336	206	294	199	966	—
ახალციხის	3253	2218	2558	1947	4834	392
ადიგენის	737	622	579	516	1006	591
ახსნიძის	—	—	—	—	—	—
ხაშურის	3275	1994	2702	1820	7307	4390
ქარელის	1399	864	976	607	1977	60
გორის	7299	5841	5338	5205	7216	2373
კასპის	1676	1066	1385

საქართველო

ქსოფლიოს ამბები

ტელეტაიპი გადმოგვცემს

საბჭოთა გეგმების წინააღმდეგ

საბჭოთა საზოგადოებრიობის გულისწყრომა და აღშფოთება

საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, ღრმად აღშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების გადაწყვეტილებამ, რომლებიც ამირებენ მასობრივი მოსპობის ბირთვული იარაღის ახალი ნაირსახეობის — ნეიტრონული ბომბის წარმოების დაწყებას. 12 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საზოგადოებრიობის, მონაწილეობას ნეიტრონული იარაღის საწინააღმდეგო მსოფლიო კამპანიაში, ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდნენ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, ნასულიერი პირნი.

განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეების ჯიუტი სურვილი, რომ ნეიტრონული ბომბით შეიარაღონ ნატოს ნაწილები, თქვა პრესკონფერენციის ჯახსნისას მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკადემიკოსმა ე. კ. ფიოდოროვმა. ისეთ პირობებში, როცა ბირთვული იარაღი უდიდეს საფრთხეს უქმნის ყველა ადამიანს, პენტაგონის მოღვაწენი ცდილობენ კიდევ უფრო გააძლიერონ გამალებული შეიარაღება.

ე. კ. ფიოდოროვმა საზეგასმით აღნიშნა, რომ ახალი სახეობის ატომური იარაღის წარმოება ნიშნავს გამალებული შეიარაღების გაფართოებასა და დაჩქარებას. ეს ლახვარს ჩაჰყრიმს დაძაბულობის შენელების დაწყებულ პროცესს, დაატარეპიდს ღონისძიებებს, რომლებიც გამალებული შეიარაღების ასალგამვად ხორციელდება. აბა, როგორ უნდა შეეფეროგდეთ იმ, უკაცრავად პასუხია, „მოსაზრებებს“, რომლებითაც ნეიტრონული იარაღის მომხრენი მისი გამოყენების დასაბუთებას ცდილობენ? ისინი ნეიტრონული იარაღის „სიწმინდეზე, ჰუმანურობაზე“ ლაპარაკობენ. ეს „ჰუმანური“ იარაღი კი გაციცხებით უფრო მეტ ტანჯვას მიაყენებდა ადამიანებს, ვიდრე ეკვივალენტური სიმძლავრის ბირთვული იარაღი, სამაგიეროდ იგი ნაკლებად ანგრევს შენობა-ნაგებობებს.

ნეიტრონული ბომბი აგრესორის ბარბაროსული იარაღია, განაცხადა თავის გამოსვლაში საბჭოთა პაგუოშის კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მ. ა. მარკოვმა. ლაყბობას მისი სიწმინდისა და ჰუმანურობის შესახებ ერთი მიზანი აქვს — გააადვილოს ამ ბომბის გამოყენება, გააადვილოს ჩვეულებრივი იარაღიდან ატომურ და ბირთვულ იარაღზე გადასვლა. საბჭოთა საზოგადოებრიობა გულისწყრომითა და აღშფოთებით ეკიდება ამ ახალი სახეობის ბირთვული იარაღის შემუშავება-წარმოებას და გადაჭრით ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

მწერალმა კ. მ. სიმონოვმა გულისწყრომით დაგმო ამერიკის შეერთებულ შტატებში ნეიტრონული ბომბის წარმოების გეგმები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე ეხება მილიონობით ადამიანისათვის მუსრის გავლებას, ამის დაშვება კი არ შეიძლება.

არქიეპისკოპოსმა პიტირიმმა თქვა, რომ მორწმუნენი მთელ ხალხთან ერთად ნეიტრონული ბომბის ჰუმანურობის შესახებ ლაპარაკს მიინერვენ უაღრესი ცინიზმის გამოვლინებად და ნამდვილ მკრეხელობად.

პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ აკადემიკოსი ნ. მ. ჟავრონკოვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ს. პავლოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ბ. კუზინი, ვანგელისტ ქრისტიან-ბაპტისტთა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ი. ჟიდკოვი და სხვები. (საკდესი).

მოკლედ

ყოველი მხრიდან

გმობენ პროვოკაციებს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა მოხსენება, რომელიც მკვეთრად გმობს სიონისტური ორგანიზაციებისა და ექსტრემისტული ჯგუფების პროვოკაციებს სსრ კავშირის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, ერაყის, იუგოსლავიის, დემოკრატიული იემენისა და სხვა ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლობათა წინააღმდეგ.

გენერალურმა ასამბლეამ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებს მოსთხოვა ყველაფერი იღონონ, რათა „ღალატეთოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არღვევს უცხოეთის წარმომადგენლობათა უფლებებს“.

მართავენ კონსულტაციებს

ადის-აბება. აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაცია კონსულტაციებს მართავს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მთავრობებთან, რათა შემოიღონ სამხრეთ აფრიკის, რასისტული რეჟიმებისათვის ნავთობის მიწოდების ეფექტიანი ემბარგო. აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სპეციალიზებული კომიტეტის წარმომადგენლებმა ამ მიზნით იმოგზაურეს ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთელ რიგ ქვეყნებში.

ფაშისტი არამზადების გამოხდომები

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატებში გრძელდება ეგრეთ წოდებული თეთრკანიანთა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი ფაშისტი არამზადების გამოხდომები. მაგალითად, ვაშინგტონის გარეუბან არლინგტონში ჯაჭვებითა და ხელკეტებით შეიარაღებულ ფაშისტთა ჯგუფმა მოაწყო პროვოკაციული თავდასხმა დემონსტრაციის მონაწილეებზე, რომელიც კომიტეტმა გამართა რასიზმის წინააღმდეგ. შეტაკების შედეგად რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ჯ. ნკომოს განცხადება

ლუსაკა. როდეზიის პრობლემის მოწესრიგების ინგლისურ-ამერიკული გეგმების მიზანია შექმნან რასიზმიანი მთავრობა. რომელიც ლონდონისა და ვაშინგტონის კონტროლს ექვემდებარება განაცხადა ზამბიის ქალაქ კიტვეში გამოსვლისას ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელმა ჯ. ნკომომ. მან ხაზი გაუსვა, რომ პატრიოტული ფრონტი აგრეთვე კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ მოლაპარაკებას რასისტთა მეთაურის სმიტის ნიმუშისამებრ ყმადალებული „შინაგანი მოწესრიგების“ ფარგლებში.

შეხვედრები ბერნში

ბერნი, 12 დეკემბერი. (საკდესი). მიღწეული პორიგების შესაბამისად აქ 6-10 დეკემბერს გრძელდებოდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა შეხვედრები იმ საკითხთა განსახილველად, რომელიც ეხება ორივე მხარის ხაქმიანობას ინდოეთის ოკეანეში. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა საგანგებო დავალებათა დესპანი ლ. მენდელევიჩი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის საგანგებო დირექტორი პ. უორნკე.

დელეგაციებმა განიხილეს წინადადებანი, რომლებიც ორივე მხარემ წამოაყენა ინდოეთის ოკეანეში მათი სამხედრო აქტიურობის შეზღუდვასთან დაკავშირებული შეთანხმების თაობაზე. მოლაპარაკება პოზიტიური სულისკვეთებით მიმდინარეობდა, და მხარეებმა დათქვეს განაგრძონ მუშაობა „ოტა ხნის შემდეგ. ორივე მხარის აზრით, ასეთი შეთანხმების მიღწევა შეესაბამება თითოეული ქვეყნის ინტერესებს და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას ინდოეთის ოკეანის რაიონში.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

ამერიკის ჟურნალი „ტაიმი“, რომელიც იმოწმებს ეგვიპტის ინფორმირებულ წყაროებს, იუწყება, რომ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი სადათი აპირებს 14 დეკემბრისათვის დანიშნულ კაიროს შეხვედრაზე განიხილოს „საზავო ხელშეკრულება“ ისრაელთან. ამ ხელშეკრულებას, ჟურნალის თქმით, ეგვიპტის პრეზიდენტი შემდეგ განსახილველად წარუდგენს სხვა არაბულ ქვეყნებს.

სადათის განზრახვას აღასტურებს აგრეთვე ისრაელის პრემიერის ბეგინის გამონათქვამები. გამოვიდა რა იერუსალიმში პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ს. ვენსთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, მან აღნიშნა, კაიროს შეხვედრის მიზანი იქნება შეიმუშაოს ცალმხრივი შეთანხმება ეგვიპტესთან. უფრო მტკიცე ეს შეთანხმება, მისი აზრით, შემდეგში უნდა გახდეს ერთგვარი „მოდელი“ ისრაელის სხვა მეზობლებისათვის.

სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება სადათის ცდას მიაღწიოს სეპარატულ ზავს ისრაელთან სხვა არაბული ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგ, ფაქტიურად ცდას გვერდი აუაროს ჟენევის საზავო კონფერენციას, რომელმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ყოვლისმომცველი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში.

ასეთი პოზიცია ცხადია საეჭვოთ შეესაბამება ისრაელის ლიდერთა სურვილს, რომლებიც ცდილობენ ყოველგვარი საშუალებით გთიშონ არაბული სახელმწიფოების ფრონტი და თავს მოაბეიონ მათ სეპარატული შეთანხმებანი. როგორც ჩანს, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებისადმი ამგვარი მიდგომა ხორციელდება შეერთებული შტატების ლოცგა-კურთხევით და მხარდაჭერით ეროვნული უშიშროების საკითხებში.

ამას მოწმობს, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის ბეჟინსკის ვიზიტი. 20 წლის მანძილზე მიმდინარე „კონფლიქტიანობ“ ოპერაციის, თვალნათლივ მოწმობენ, რომ გამოძიების თვდერალური ბიუროს აგენტები სისტემატურად ოთვალთვალებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის, ზანგთა მეფილ რიგი მასობრივი ორგანიზაციების, პროფკავშირების, სტუდენტთა და სხვა გაერთიანებების საქმიანობას.

ამერიკელ მეცნიერ ეფრაიმ ჩარლზ ე. რიზონსს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებმა ეს ბომბი ევროპაში ერთ-ერთ ადგილად ამოირჩიეს. ეს ადგილი ევროპაში ალბანეთია, ალბანეთ-ბულგარეთ-ბერძნეთ-ბალკანეთ-ეგეოსი. ეს ადგილი ბალკანეთ-ეგეოსი ეს ადგილი ბალკანეთ-ეგეოსი ეს ადგილი ბალკანეთ-ეგეოსი

ᲘᲮᲘᲕᲔᲬᲔᲑᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ რამდენიმე დღე მიმდინარეობდა სწავლების ეკრანულ-ხმოვან ტექნიკურ საშუალებათა შექმნისა და გამოყენების მეთოდიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სიმპოზიუმი, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. სიმპოზიუმი მოაწყვეს ი. ხ. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რსფსრ-ის განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ი. ხ. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა საზოგადოებამ.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, მინსკელი, ბაქოელი, ვილნიუსელი, ტალინელი, რიგელი, აშხაბადელი. ტაშკენტელი, კიშინოველი, ერევნელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული თვალსაჩინო სპეციალისტები.

სიმპოზიუმი გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ო. ქინქლაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა საშუალო სკოლის წინაშე დასახული დიდი ამოცანების შესაბამისად სიმპოზიუმის განსახილველად წარმოდგენილ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სწავლების ფორმების სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, სწავლების ეკრანულ-ხმოვანი ტექნიკური ფორმების შექმნისა და გამოყენების მეთოდიკის დახვეწა საჭიროროტო ამოცანად იქცა.

სიმპოზიუმის მონაწილეების დიდი ინტერესი გამოიწვია მოხსენებებმა, რომლებიც გააკეთეს მოსკოველებმა — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. პრესმანმა და პროფესორმა ნ. შახმაევმა, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ლენინგრადის ა. ი. გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ა. ბობორიკინმა, რიგის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო ტელევიზიის კაბინეტის გამგემ ვ. პოლიხომ, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ ვ. ჯუღელმა, უკრაინის სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტმა ლ. ტიჩინამ, მოსკოვის პირველი სკოლის მასწავლებელმა გ. პოლონსკაიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და სამუშაო განათლების სამინისტროს სწავლების ტექნიკურ საშუალებათა ლაბორატორიის უფროსმა მეთოდისტმა ა. დადიანმა, სომხეთის სსრ განათლების სამინისტროს სწავლების ტექნიკურ საშუალებათა სასწავლო-მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტმა რ. სარქისიანმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ი. ბაკმა, ლიტვის სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფტექნიკანათლების სექტორის გამგემ ვ. კავალიაუსკასმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიდაქტიკის ლაბორატორიის დოცენტმა ვ. ნიორაძემ და სხვ.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები, რომლებიც სასკოლო კოლექტივების ყოველდღიური მუშაობის პრაქტიკული სახელმძღვანელო უნდა გახდეს.

ᲛᲘᲜᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას — რკინიგზის ვაგზლის წინ სავესპლოატაციოდ გადაეცა რიგით მეშვიდე მიწისქვეშა გადასასვლელი.

პროექტის ავტორია არქიტექტორი შ. ლომთათიძე. მშენებლობა განახორციელა „თბილგორგორბამშენის“ № 9 საგვირაბო რაზმის (უფროსი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. ჯაყელი) კოლექტივმა. გადასასვლელის საერთო სიგრძეა 43 მეტრი. საფეხურები დამზადებულია ბაზალტისაგან, კედლები მოპირკეთებულია მარმარილოთი და გრანიტით. გადასასვლელში მოთავსდება სავაჭრო ობიექტები.

Ი. ᲒᲝᲒᲔᲩᲘᲐ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲝ!

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲓᲘᲐᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ი. ქავქავაძის სახელობის პროსპექტზე, საქართველოში საოფთიაქო საქმის ისტორიაში პირველად გაიხსნა სპეციალური პედიატრიული განყოფილება.

№ 27 აფთიაქის გამგემ, ხ. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საოფთიაქო ქსელის პატრონაჟნიზაციის მდივანმა სოკრატე სალუქვაძემ გვიამბო:

— განყოფილება, რომელმაც ამას წინათ ჩვენი აფთიაქის ბაზაზე დაიწყო მუშაობა, მოწყობილია ნორჩი პაციენტების მომსახურების გასაუმჯობესებლად, მიკრორაიონის ბავშვებისათვის ზოგიერთი სპეციფიკური მედიკამენტის კონცენტრაციის მიზნით. შენობა მოწყობილია სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით. იგი აღჭურვილია ყოველივეთი, რაც აუცილებელია მედიკამენტების სწრაფად დამზადებისათვის.

□

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ზემოთ — აფთიაქის პედიატრიული განყოფილების საასისტენტო; ნორჩი პაციენტების აფთიაქის თავისებურ სიმბოლოდ იქცა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის კობა გურულის ჭედური ნამუშევარი „დედა და ბავშვი“. ქვემოთ — განყოფილების გამგე პროვიზორი ქეთევან უზნაძე, ფარმაცევტი აზა ხვინძე და აფთიაქის. გამგე პროვიზორი სოკრატ სალუქვაძე მომხმარებლებს ემსახურებიან.

Ე. ᲒᲘᲝᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტური რჩება. ჯერჯერობით პირველი ადგილის პრეტენდენტი ორია — გულკო და პეტროსიანი.

მეათე ტურში დორფმან-გულკოს პარტიაში გათამამდა ახალგაზდური დაცვა. შავებმა რამდენადმე უარესი პოზიცია მიიღეს, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა და ყაიმი აღინიშნა. სვიმნიკოვ-პეტროსიანის შეხვედრაში ჩელიაბინსკელი დიდოსტატი მხოლოდ ყაიმისაკენ მიისწრაფოდა და მიაღწია კიდეც მიზანს. ჩვენ არ გვახსოვს შემთხვევა, რომ ტალს პირველი პარტია მოეგოს... მეათე ტურში! ამჯერად ესეც საკმაოდ მოულოდნელად მოხდა — ჯუზბინის დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მძიმე შეცდომამ მოუვიდა და ტალს გამარჯვება მიუღია. გელფანდი ზედიზედ 9 ყაიმი ჰქონდა, მაგრამ ახლა გრიგორიანი დამარცხა და ერთბამად ლიდერთა ჯგუფში შეიდა. ტუმბოკოვ-ბაგირიანი, სმისლოვ-ალბურტი ყაიმზე შეთანხმდნენ.

10 ტურის შემდეგ 7 ქულით პირველ ადგილს ინარჩუნებს დიდოსტატი გულკო. 6,5 ქულა მოგროვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

ᲚᲕᲝᲕᲘ. მერვე ტურში ლიდერი შეიცვალა. დიდოსტატმა ალექსანდრიამ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ალიოხინასთან და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ეპშტეინმა მოუგო კოლოიარცევს, მაკარიჩევმა — ახმილოვსკაიას. ყაიმზე შეთანხმდნენ მოროზოვა და ჩიბურდანიძე, ზატულოვსკაია და იოსელიანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

8 ტურის შემდეგ 5 ქულით და 2 გადადებული პარტიით პირველ ადგილზე იყო დიდოსტატი ალექსანდრია. ხუთ-ხუთი ქულა და თითო გადადებული პარტია ჰქონდათ დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძესა და ოსტატ ტატიანა მოროზოვას (ოდესა); 5 ქულა — საერთაშორისო ოსტატ ესოერ ეპშტეინს (გორკი), 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია — საბჭოთა ეკექერის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ ანა ახშარუმოვას (მოსკოვი), 4 ქულა და 2 გადადებული პარტია — საერთაშორისო ოსტატ ლიდია სემიონოვას (კიევი), 3,5 ქულა და 3 გადადებული პარტია — დიდოსტატ მარტა ლიტინსკაიას (ლვოვი).

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ტურში ჩიბურდანიძემ მოუგო კისლოვას და 6 ქულით ლიდერი გახდა. ალექსანდრია ყაიმზე შეუთანხმდა ფომინას და 5,5 ქულა აქვს.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენი კორესპონდენტი ა. ᲨᲘᲨᲘᲜᲐᲫᲔ ლაიფციგში ტელეფონით ესაუბრა მსოფლიოს ჩემპიონ ნონა ᲒᲐᲨᲠᲘᲜᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ. აი რა გადმოგვცა:

— ჩვენთან კიდევ ორი ტური გათამამდა. მერვე ტურში შეეხვედი დიდოსტატ მალეხს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და წვალგე. მეცხრე ტურში დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადავდე პარტია დიდოსტატ კნაკაკთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

9 ტურის შემდეგ 7 ქულით პირველ ადგილზეა დიდოსტატი მალეხი. 8 თამამიდან 6 ქულა აქვს დიდოსტატ კნაკს, 9 თამამიდან 5,5 ქულა — დიდოსტატ სმეიკალს (ჩეხოსლოვაკია).

მორიგ მეათე ტურში ვეთამაშები ოსტატ კასპერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ჩემპიონობის პრეტენდენტების — მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სპასკისა და კორჩნოის ფინალური მატჩის მერვე პარტიაში თეორიებით თამაშობდა სპასკი. პარტია მოიგო კორჩნოიმ და ანგარიში გახდა 6:2 მის სასარგებლოდ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის გარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲜᲘᲤᲘᲜᲘ“. 11.35 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. II სერია (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — შვილისწავლოთ გერმანული ენა, 18.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სოფლის სკოლა“, 18.40 — მოსწავლეთათვის „მოგითხრობთ პროფესიაზე“, 19.10 — „ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ“. 20.00 — „ᲒᲐᲣᲪᲘᲜᲔᲑᲚᲘ ᲙᲐᲠᲘ“ — ციკლიდან „ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲘ“ (ფერადი), 21.00 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „საესტრადო პანორამა“. 22.00 — „ᲤᲠᲘᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „სიყვარული“ (ფერადი).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ᲩᲘᲩᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲩᲘᲠᲘ“, 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲐᲠᲡᲘᲜᲘᲤᲘᲡ“ (ფერადი), 19.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ“. III სერია.

ᲠᲐᲓᲘᲝ

15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.33 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ“, 06.50—„სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00—„გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ქართული საოპერო მუსიკა, 11.45 — „სსრკ სახელმწიფო პრემიის ახალი ლაურეატები“. რადიონარკვევი „ფიზიკოსი“, 12.15 — უკრა